

შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო
ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
5. ამონაგები.....	19
6. სხვა შემოსავალი	19
7. სხვა ხარჯები.....	20
8. ფინანსური ხარჯი, ნეტო	20
9. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო.....	20
10. ძირითადი საშუალებები	21
11. არამატერიალური აქტივები	22
12. მარაგები.....	22
13. საგადასახადო აქტივი	22
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
15. საბანკო დაწესებულებაში განთავსებული დეპოზიტები	23
16. ფული და ფულის ეკვივალენტები	24
17. მიღებული სესხები	24
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	25
19. პირობითი ვალდებულებები	26
20. დაკავშირებული მხარეები	26
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26
22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	27

მმართველობის ანგარიშგება.....	35
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებელს,

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის მოძრაობას და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი. მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

6 სექტემბერი 2019

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებელს,

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის მოძრაობას და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი. მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

6 სექტემბერი 2019

შპს „შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	5	38,699,160	35,568,410
სხვა შემოსავალი	6	464,442	366,022
სულ საოპერაციო შემოსავალი		39,163,602	35,934,432
მარაგების ცვლილება	12	371,878	219,773
შეძენილი მარაგების ხარჯი		(3,241,597)	(3,533,183)
კომპანიის მიერ შესრულებული და კაპიტალიზებული სამუშაო		57,130	160,735
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(13,294,146)	(12,657,274)
ცვეთა და ამორტიზაცია	10; 11	(5,812,805)	(5,158,426)
სხვა ხარჯები	7	(4,021,331)	(2,505,879)
საოპერაციო მოგება		13,222,731	12,460,178
ფინანსური ხარჯი, ნეტო	8	(178,819)	(587,111)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო	9	(158,640)	(15,304)
წლის სრული შემოსავალი		12,885,272	11,857,763

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 6 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი	_____	გ. წივწივაძე
ფინანსური დირექტორი	_____	ა. ჩხაიძე

შპს „შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	5	38,699,160	35,568,410
სხვა შემოსავალი	6	464,442	366,022
სულ საოპერაციო შემოსავალი		39,163,602	35,934,432
მარაგების ცვლილება	12	371,878	219,773
შემენილი მარაგების ხარჯი		(3,241,597)	(3,533,183)
კომპანიის მიერ შესრულებული და კაპიტალიზებული სამუშაო		57,130	160,735
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(13,294,146)	(12,657,274)
ცვეთა და ამორტიზაცია	10; 11	(5,812,805)	(5,158,426)
სხვა ხარჯები	7	(4,021,331)	(2,505,879)
საოპერაციო მოგება		13,222,731	12,460,178
ფინანსური ხარჯი, ნეტო	8	(178,819)	(587,111)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო	9	(158,640)	(15,304)
წლის სრული შემოსავალი		12,885,272	11,857,763

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 6 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

გ. წივწვაძე

ფინანსური დირექტორი

ა. ჩხაიძე



შპს „შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები	10	341,286	531,698	445,886
ძირითადი საშუალებები	11	70,985,745	66,256,731	61,104,599
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		476,000	904,986	1,817,080
		71,803,031	67,693,415	63,367,565
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	12	1,209,774	837,896	618,123
საგადასახადო აქტივი	13	182,358	303,925	200,296
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	6,911,156	6,276,538	5,549,529
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	15	5,062,845	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	4,040,559	2,800,971	790,163
		17,406,692	10,219,330	7,158,111
		89,209,723	77,912,745	70,525,676
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		202,727	202,727	202,727
გაუნაწილებელი მოგება		84,730,000	72,594,728	60,924,465
		84,932,727	72,797,455	61,127,192
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	17	1,626,431	2,415,442	5,167,999
		1,626,431	2,415,442	5,167,999
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული სესხები	17	792,320	1,598,688	3,028,683
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	1,858,245	1,101,160	1,201,802
		2,650,565	2,699,848	4,230,485
		89,209,723	77,912,745	70,525,676

10 - 34 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 1 იანვარი	202,727	60,924,465	61,127,192
წლის სრული შემოსავალი	-	11,857,763	11,857,763
გამოცხადებული დივიდენდი	-	(187,500)	(187,500)
2017 წლის 31 დეკემბერი	202,727	72,594,728	72,797,455
წლის სრული შემოსავალი	-	12,885,272	12,885,272
გამოცხადებული დივიდენდი	-	(750,000)	(750,000)
2018 წლის 31 დეკემბერი	202,727	84,730,000	84,932,727

10 - 34 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		12,885,272	11,857,763
კორექტირებები:			
ფინანსური ხარჯები, ნეტო	8	178,819	587,111
ცვეთა და ამორტიზაცია	10; 11	5,812,805	5,158,426
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურება	7	99,531	8,150
კურსთაშორის სხვაობისგან მიღებული ზარალი	9	158,640	15,304
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ჩამოწერა	7	106,199	291,716
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		19,241,266	17,918,470
მარაგების ზრდა		(371,878)	(219,773)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(728,716)	(735,159)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		1,036,517	149,164
საგადასახადო აქტივის შემცირება/(ზრდა)		121,567	(103,629)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		19,298,756	17,009,073
გადახდილი პროცენტი	17	(309,659)	(603,942)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		18,989,097	16,405,131
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(10,410,232)	(9,782,997)
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	15	(5,000,000)	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(6,700)	(168,134)
მიღებული პროცენტები		63,077	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(15,353,855)	(9,951,131)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა	17	(1,590,461)	(4,165,721)
გადახდილი დივიდენდი		(750,000)	(187,500)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,340,461)	(4,353,221)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		1,294,781	2,100,779
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16	2,800,971	790,163
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	9	(55,193)	(89,971)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	16	4,040,559	2,800,971

10 - 34 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 1991 წელს. კლინიკა წარმოადგენს სამკურნალო-დიაგნოსტიკური დაწესებულებას. კლინიკის სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებაა დაავადებათა ადრეული კომპლექსური დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

კომპანია მდებარეობს თბილისში. კლინიკის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, თევდორე მღვდლის ქუჩა #13.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და მმართველია გიორგი დიასამიძე, ხოლო 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ფიზიკური პირი ფრიდონ თოდუა, ხოლო წილის მმართველი თინათინ შენგელაია.

2. მომზადების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებულ იქნა ფასს-1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“. ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

კომპანიის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს - 2018 წლის 31 დეკემბერი.

კომპანია არ იყენებს სხვადასხვა ვერსიას იმ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში და რომელთა დაკავშირებითაც შესული ცვლილებების სავალდებულო გამოყენება ძალაში შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

კომპანია არ იყენებს ახალ ფასს-ბს, რომელთა გამოყენება სავალდებულო არ არის, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებების მუხლის ნაწილისა. კომპანიამ 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიწისა და შენობების ჯგუფი შეაფასა რეალური ღირებულებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და აღნიშნული ღირებულება გამოიყენა როგორც დასაშვები ღირებულება.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები ან შესწორებები, რომელიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან და კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჰქონდა ზეგავლენა, არის:

- ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“;
- ფასს 15 – „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“;

ფასს 15-ს და ფასს 9-ს, სტანდარტის მოთხოვნებზე გადასვლის თარიღისთვის, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, შესაბამისად, კომპანიას არ გაუკეთებია ნაშთების კორექტირება.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 1 იანვრისთვის:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ფინანსურ და საოპერაციო იჯარას, სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც მსგავსია ბასს 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის პრინციპისა.

იჯარის გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - იჯარის გამცემი განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს: საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგალითად, საოფისე კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი) და მოკლევადიანი იჯარები (იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად გადაიხედება. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ამ მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ მოცემულია მე-12 განმარტებით შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გ) სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტი რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები და საკრედიტო დაწესებულებაში განთავსებული დეპოზიტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,716,912	6,114,792	5,525,961
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,040,559	2,800,971	790,163
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	5,062,845	-	-
	15,820,316	8,915,763	6,316,124
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,812,541	955,207	1,172,780
მიღებული სესხები	2,418,751	4,014,130	8,196,682
	4,231,292	4,969,337	9,369,462

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს,

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის.

ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ბანკებისგან მიღებული სესხები და ბანკში განთავსებული დეპოზიტები დადისკონტირებულია კომპანიის საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული/(განთავსებული) აქვს ისინი. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში:

	31.12.2018		31.12.2017	
	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით
მოგება/ზარალი	(24,154)	24,154	(40,059)	40,059

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ერთი ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, საბანკო დაწესებულებაში განთავსებული დეპოზიტებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცელების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: დამფინანსებელი სახელმწიფოა, იურიდიული პირი თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა).

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2018	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
მოთხოვნები სოციალური მომსახურების სააგენტოსთან	5,298,703	0%	-
მოთხოვნები ჯგუფური გაუფასურების რეზერვით			
მიმდინარე	1,167,325	1%	(11,673)
ვადაგადაცილება 0-30 დღე	133,675	5%	(6,684)
ვადაგადაცილება 31-90 დღე	101,554	10%	(10,155)
ვადაგადაცილება 91-180 დღე	38,614	30%	(11,584)
ვადაგადაცილება 181-360 დღე	34,274	50%	(17,137)
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	154,758	100%	(154,758)
	1,630,200		(211,991)
მოთხოვნები გაუფასურებამდე	6,928,903		
გაუფასურების რეზერვი	(211,991)		(211,991)
წმინდა მოთხოვნები	6,716,912		(211,991)

საკრედიტო ხარისხის ანალიზი ფასს 9-ის დანერგვამდე:

	31.12.2017	01.01.2017
ვადადაუმდგარი და გაუფასურების გარეშე	4,985,276	4,571,145
ინდივიდუალურად გაუფასურებული (გროსი)		
ვადაგადაცილება 0-30 დღე	353,042	425,521
ვადაგადაცილება 31-90 დღე	648,005	401,449
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული	1,001,047	826,970
ჯგუფურად გაუფასურებული (გროსი)		
ვადაგადაცილება 0-30 დღე	27,055	52,216
ვადაგადაცილება 31-90 დღე	63,373	68,901
ვადაგადაცილება 91-180 დღე	35,572	19,070
ვადაგადაცილება 181-360 დღე	47,998	12,651
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	66,931	79,318
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	240,929	232,156
სულ ფინანსური აქტივები გაუფასურებამდე	6,227,252	5,630,271
გაუფასურების რეზერვი	(112,460)	(104,310)
სულ ფინანსური აქტივები	6,114,792	5,525,961

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანია ახორციელებს ფინანსური აქტივების დარეზერვებას ფასს 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოთხოვნების შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 22-ე განმარტებითი შენიშვნა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,279,676	1,487,424	273,459	4,040,559
საბანკო დაწესებულებებში	5,062,845	-	-	5,062,845
განთავსებული დეპოზიტები	6,427,473	173,383	116,056	6,716,912
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,769,994	1,660,807	389,515	15,820,316
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,708,751	-	103,790	1,812,541
მიღებული სესხები	2,418,751	-	-	2,418,751
	4,127,502	-	103,790	4,231,292
წმინდა სავალუტო პოზიცია	9,642,492	1,660,807	285,725	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	711,784	1,991,085	98,102	2,800,971
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,027,601	29,778	57,413	6,114,792
	6,739,385	2,020,863	155,515	8,915,763
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	540,279	414,928	-	955,207
მიღებული სესხები	4,014,130	-	-	4,014,130
	4,554,409	414,928	-	4,969,337
წმინდა სავალუტო პოზიცია	2,184,976	1,605,935	155,515	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტი	585,701	169,945	34,517	790,163
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,419,816	106,145	-	5,525,961
	6,005,517	276,090	34,517	6,316,124
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	698,396	320,399	153,985	1,172,780
მიღებული სესხები	8,196,682	-	-	8,196,682
	8,895,078	320,399	153,985	9,369,462
წმინდა სავალუტო პოზიცია	(2,889,561)	(44,309)	(119,468)	

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	332,161	(332,161)	57,145	(57,145)

2017 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	321,187	(321,187)	31,103	(31,103)

2017 წლის 1 იანვრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	(8,862)	8,862	(23,894)	23,894

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

ლიკვიდურობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,812,541	-	1,812,541
მიღებული სესხები	792,320	1,626,431	2,418,751
	2,604,861	1,626,431	4,231,292

ლიკვიდურობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	955,207	-	955,207
მიღებული სესხები	1,598,688	2,415,442	4,014,130
	2,553,895	2,415,442	4,969,337

შპს „შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის ანალიზი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,172,780	-	1,172,780
მიღებული სესხები	3,028,683	5,167,999	8,196,682
	4,201,463	5,167,999	9,369,462

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

5. ამონაგები

ამონაგები წარმოადგენს ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს, რომელიც დამფინანსებლების სახეების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
შემოსავლები პაციენტებისგან	17,249,081	15,502,120
შემოსავალი საყოველთაო დაზღვევიდან	12,553,062	13,222,886
შემოსავლები სადაზღვეო კომპანიებისგან	2,616,965	2,136,040
შემოსავლები სამედიცინო კვლევებიდან	3,227,422	1,922,493
სხვა დამფინანსებლები	3,052,630	2,784,871
	38,699,160	35,568,410

*სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან წარმოდგენილია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული შემოსავლით.

6. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
საიჯარო შემოსავალი	337,869	353,527
საქონლის რეალიზაცია	76,750	3,003
მიღებული კრედიტნოტები	48,341	9,492
სხვა	1,482	-
	464,442	366,022

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

7. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
მიმდინარე რემონტი და შეკეთება	(1,383,910)	(571,418)
კომუნალური ხარჯი	(816,175)	(750,502)
პროფესიული მომსახურება*	(451,839)	(238,280)
მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	(394,902)	(212,061)
დაცვა	(123,158)	(88,887)
რეკლამა	(110,837)	-
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ჩამოწერა	(106,199)	(291,716)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(99,531)	(8,150)
კომუნიკაციის ხარჯი	(71,678)	(68,392)
მივლინება	(20,027)	(53,002)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(49,986)	(42,711)
სხვა	(393,089)	(180,760)
	(4,021,331)	(2,505,879)

*2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის აუდიტორულ კომპანიაზე გაწეული წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და სხვა პროფესიული მომსახურების ღირებულება შეადგენს 37,760 და 36,000 ლარს, შესაბამისად.

8. ფინანსური ხარჯი, ნეტო

ფინანსური ხარჯი, ნეტო წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ფინანსური ხარჯი		
მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	(304,741)	(587,111)
ფინანსური შემოსავალი		
ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტი	125,922	-
	(178,819)	(587,111)

9. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო

კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ფული და ფულის ეკვივალენტები	(55,193)	(89,971)
სხვა ფინანსური ინსტრუმენტები	(103,447)	74,667
	(158,640)	(15,304)

შპს „შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა	სამედიცინო დანადგარები და აღჭურვილობა	ავჯი და კლინიკის აღჭურვილობა	სხვა	სულ
2017 წლის 1 იანვარი	5,972,881	20,407,974	48,825,674	3,617,826	1,401,218	80,225,573
შემოსვლა	772,000	1,084,037	8,111,108	385,862	166,945	10,519,952
გასვლა	-	-	(2,436,471)	-	-	(2,436,471)
2017 წლის 31 დეკემბერი	6,744,881	21,492,011	54,500,311	4,003,688	1,568,163	88,309,054
შემოსვლა	-	1,061,024	8,807,575	420,089	162,218	10,450,906
გასვლა	-	-	(46,314)	-	-	(46,314)
2018 წლის 31 დეკემბერი	6,744,881	22,553,035	63,261,572	4,423,777	1,730,381	98,713,646
დაგროვილი ცვეთა						
2017 წლის 1 იანვარი	-	(322,331)	(16,689,662)	(1,661,677)	(447,304)	(19,120,974)
ცვეთა	-	(407,980)	(4,082,348)	(446,020)	(139,756)	(5,076,104)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	2,144,755	-	-	2,144,755
2017 წლის 31 დეკემბერი	-	(730,311)	(18,627,255)	(2,107,697)	(587,060)	(22,052,323)
ცვეთა	-	(441,811)	(4,675,330)	(451,115)	(153,636)	(5,721,892)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	46,314	-	-	46,314
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(1,172,122)	(23,256,271)	(2,558,812)	(740,696)	(27,727,901)
საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 1 იანვარი	5,972,881	20,085,643	32,136,012	1,956,149	953,914	61,104,599
2017 წლის 31 დეკემბერი	6,744,881	20,761,700	35,873,056	1,895,991	981,103	66,256,731
2018 წლის 31 დეკემბერი	6,744,881	21,380,913	40,005,301	1,864,965	989,685	70,985,745

ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის კომპანიამ ძირითადი საშუალებების ნაწილი - მიწასა და შენობების ჯგუფი შეაფასა რეალური ღირებულებით და რეალური ღირებულება გამოიყენა, როგორც დასაშვები ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი კომპანიის მიერ, რომელსაც აქვთ შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება მსგავსი აქტივების შეფასებაში. ძირითადი საშუალებების შეფასება განხორციელდა რეალური ღირებულების განსაზღვრის იერარქიაში მე-3 დონის ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ კი საბაზრო მეთოდის გამოყენებით, რადგან შეფასების თარიღისთვის არსებობდა საკმარისი რაოდენობის რეგისტრირებული გაყიდვების და შეთავაზებების შესახებ ინფორმაცია. შეფასების პროცესში შემფასებლებმა გამოიყენეს ანალოგები, რომელთა ღირებულებების კორექტირება მოხდა შესაფასებელ ობიექტებსა და ანალოგებს შორის განსხვავებების გათვალისწინების მიზნით.

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მიღებული სესხი უზრუნველყოფილია კლინიკის შენობის ნაწილით, სხივური თერაპიის აპარატით - მწარმოებელი - Varian medical systems International A.G, და კომპიუტერული ტომოგრაფიის აპარატით - მწარმოებლები - Siemens და Aquilion One Computer Tomography System. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასესხო ვალდებულებები უზრუნველყოფილია კომპანიის საოფისე შენობით. კომპანიას შეზღუდული აქვს აღნიშნული აქტივის გაყიდვა ან გამოყენება იპოთეკის საგნად გამსესხებლის თანხმობის გარეშე.

სახელმწიფოსგან აუქციონზე პრივატიზაციის წესით შეძენილი მიწები დატვირთულია საჯარო-სამართლებრივი სერვიტუტის უფლებით - შეზღუდვა - მშენებლობის უფლების გარეშე.

შპს „შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	პროგრამები
2017 წლის 1 იანვარი	579,460
შემოსვლა	168,134
2017 წლის 31 დეკემბერი	747,594
შემოსვლა	6,700
ჩამოწერა	(171,876)
2018 წლის 31 დეკემბერი	582,418
დაგროვილი ამორტიზაცია	
2017 წლის 1 იანვარი	(133,574)
ამორტიზაცია	(82,322)
2017 წლის 31 დეკემბერი	(215,896)
ამორტიზაცია	(90,913)
ჩამოწერილი არამატერიალური აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია	65,677
2018 წლის 31 დეკემბერი	(241,132)
საბალანსო ღირებულება	
2017 წლის 1 იანვარი	445,886
2017 წლის 31 დეკემბერი	531,698
2018 წლის 31 დეკემბერი	341,286

კომპანიის პროგრამები მოიცავს სააღრიცხვო და სამედიცინო საქმიანობის პროცესში გამოყენებულ დანადგარების პროგრამულ უზრუნველყოფებს.

12. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
სამედიცინო მედიკამენტები და სახარჯი მასალები	879,697	484,322	327,983
სათადარიგო ნაწილები	310,382	250,225	266,836
სხვა	19,695	103,349	23,304
	1,209,774	837,896	618,123

13. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 182,358; 303,925 და 200,296 ლარის ოდენობით, როგორც საგადასახადო აქტივი.

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური მოთხოვნები			
სავაჭრო მოთხოვნები	6,881,883	6,212,537	5,592,510
სხვა მოთხოვნები	47,020	14,715	37,761
მინუს: საექვო მოთხოვნების რეზერვი	(211,991)	(112,460)	(104,310)
	6,716,912	6,114,792	5,525,961
არაფინანსური მოთხოვნები			
გადახდილი ავანსები	194,244	161,746	23,568
	194,244	161,746	23,568
	6,911,156	6,276,538	5,549,529

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განსაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დამატებით ინფორმაცია მოცემულია 22-ე განმარტებით შენიშვნაში.

გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
1 იანვარი	(112,460)	(104,310)
რეზერვის ზრდა საექვო მოთხოვნებზე	(99,531)	(8,150)
31 დეკემბერი	(211,991)	(112,460)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

15. საბანკო დაწესებულებაში განთავსებული დეპოზიტები

	31.12.2018
ძირი თანხა	5,000,000
საპროცენტო მოთხოვნა	62,845
	5,062,845

კომპანიას ვადიანი დეპოზიტი გახსნილი აქვს სს “თიბისი ბანკში”. დეპოზიტის ხანგრძლივობა მოიცავს 150 დღეს. წლიური საპროცენტო განაკვეთის შეადგენს 6.5%-ს.

შპს „შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,760,883	2,089,187	204,462
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,262,417	698,500	574,205
ფული სალაროში	17,259	13,284	11,496
	4,040,559	2,800,971	790,163

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია ფულის და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

17. მიღებული სესხები

მიღებული გრძელვადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	პროცენტი	ვალუტა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
სს "თიბისი ბანკი"					
1708716-2426098	4.5%+ლიბორი	ლარი	-	-	2,025,836
1708716-8431695	5.5%+ლიბორი	ლარი	1,626,431	2,415,442	3,142,163
			1,626,431	2,415,442	5,167,999

მიღებული მოკლევადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	პროცენტი	ვალუტა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
სს "თიბისი ბანკი"					
1708716-2426098	4.5%+ლიბორი	ლარი	-	867,662	2,357,735
1708716-8431695	5.5%+ლიბორი	ლარი	792,320	731,026	670,948
			792,320	1,598,688	3,028,683

საპროცენტო ვალდებულება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 3,309; 8,227 და 25,057 ლარს, შესაბამისად.

მიღებული სესხების რეკონსილაცია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე	გრძელვადიანი	სულ
2018 წლის 1 იანვარი	1,598,688	2,415,442	4,014,130
მონეტარული ცვლილებები	(1,900,120)	-	(1,900,120)
არამონეტარული ცვლილებები			
დარიცხული პროცენტი	304,741	-	304,741
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	789,011	(789,011)	-
2018 წლის 31 დეკემბერი	792,320	1,626,431	2,418,751

მიღებული სესხების რეკონსილაცია 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე	გრძელვადიანი	სულ
2017 წლის 1 იანვარი	3,028,683	5,167,999	8,196,682
მონეტარული ცვლილებები	(3,607,568)	(1,162,095)	(4,769,663)
არამონეტარული ცვლილებები			
დარიცხული პროცენტი	587,111	-	587,111
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	1,590,462	(1,590,462)	-
2017 წლის 31 დეკემბერი	1,598,688	2,415,442	4,014,130

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

17. მიღებული სესხები (გაგრძელება)

კომპანიას მიღებული აქვს სესხები ძირითადი საშუალებების შესაძენად. სესხის უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-10 განმარტებით შენიშვნაში.

კომპანიას მიღებულ სესხებზე დადგენილი აქვს ფინანსური კოვენანტები, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

- მიმდინარე აქტივების თანაფარდობამ მიმდინარე ვალდებულებებთან არ უნდა შეადგინოს 130%-ზე ნაკლები;
- საოპერაციო მოგებამ (EBIDA) არ უნდა შეადგინოს ჯამურ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯების, გრძელვადიან სესხებზე გადასახდელი ძირითადი თანხების, კაპიტალდაბანდებადებისა და ლიზინგის გადასახდელების 120%-ზე ნაკლები.
- მსესხებლის საკუთარი კაპიტალი არ უნდა იყოს 18 მლნ. ლარზე ნაკლები.

ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დაარღვევს ბანკთან ნაკისრ ვალდებულებებს.

კომპანია აკმაყოფილებდა ყველა ზემოთაღნიშნულ ფინანსურ კოვენანტს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ იხილეთ მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური ვალდებულებები			
გადასახდელი ხელფასები	1,386,475	423,659	707,301
სავაჭრო ვალდებულებები	397,843	501,446	371,213
სხვა ვალდებულებები	28,223	30,102	94,266
	1,812,541	955,207	1,172,780
არაფინანსური ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	45,704	145,953	29,022
	45,704	145,953	29,022
	1,858,245	1,101,160	1,201,802

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონიტორინგი - კომპანიის სამედიცინო საქმიანობა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან ექვემდებარება მუდვიმ მონიტორინგს. კერძოდ, სააგენტო პერიოდულად ახორციელებს კომპანიის მიერ საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოსთან წარდგენილი შესრულებების დოკუმენტური სისრულის შემოწმებას. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაძლოა კომპანიას დაეკისროს ფინანსური სანქციები.

სესხის ხელშეკრულების კოვენანტები - კომპანიას მიღებულ სესხზე დადგენილი აქვს ფინანსური კოვენანტები, რომლის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს გამსესხებლის მხრიდან სესხის უპირობოდ დაფარვის უფლების გამოყენება (მე-17 განმარტებითი შენიშვნა).

20. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შეადგენს 775,527 და 1,913,774 ლარს.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წელში კომპანიამ დაფარა სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხი სრულად.

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

22. მნიშვნელოვანი საარტიკულო პოლიტიკის მიმოხილვა

22.1 შეფასების და წარსადგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ და ფაისკ ინტერპრეტაცია 22-ის - „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“ მოთხოვნების შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922	2.6468
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044	2.7940

22.2 ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სამედიცინო და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. შემოსავალი სამედიცინო და სხვა დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში შესრულებული სამუშაოს გამოკვლევის მეთოდის გამოყენებით. კომპანია ძირითად შემოსავალს იღებს ამბულატორიული და სტაციონალური მომსახურების გაწევიდან.

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფიზიკური პირებისთვის გასაწევი მომსახურების საფასური, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში გაწერილია სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებში. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეული ფიზიკური პირებისთვის მოქმედებს განაკვეთი, რომელიც დადგენილია სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე. დაუზღვეველ ფიზიკურ პირებზე შემოსავლის აღიარება ხდება კომპანიის მიერ დადგენილი შიდა სტანდარტით განსაზღვრული ფასის მიხედვით.

სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიებთან არსებული ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკის მიხედვით კომპანიის მიერ გაგზავნილი შესრულებული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტები (ანგარიშგაქტურები) კორექტირდება შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში. ფასს 15-ის მოთხოვნების გათვალისწინებით, კომპანიამ თავიდან რომ აირიდოს შემოსავლის გადაჭარბებით აღიარება, წარსული გამოცდილებით ახორციელებს ანაზღაურების მოსალოდნელი კორექტირების სავარაუდო შეფასებას. მომავალში პოტენციური კორექტირებებისა და ფასდაკლებების სავარაუდო შეფასება ეყრდნობოდა სახელმწიფოს და სადაზღვევო კომპანიების მხრიდან კორექტირებების მაჩვენებლების შესახებ ბოლო 1 წლის ფაქტიურ მონაცემებს.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და

ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

22.3 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ჰყოფს შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით, საბანკო დაწესებულებაში განთავსებული დეპოზიტებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

„ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ექვექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, კომპანიას ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა ყველა სავალო ფასიან ქალაქზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასდა თუ ჯგუფურად, რისთვისაც კომპანია ითვალისწინებს ყველა გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, მათ შორის, საპროგნოზო ინფორმაციასაც.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ.

კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონსტრაქტო აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს მეთოდოლოგიის საფუძველზე:

- ინდივიდუალურად განიხილავს სახელმწიფოსგან მისაღებ თანხებს
- ჯგუფურად ფასდება ყველა სხვა დებიტორული დავალიანება, რადგან კომპანიის გამოცდილებით დარჩენილი ერთობლიობა არ მოიცავს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ელემენტებს.

სახელმწიფოსგან მისაღები თანხები

კომპანია მონაწილეობს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში, საიდანაც ფორმირდება სავაჭრო მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი.

აღნიშნულ მოთხოვნებს გააჩნიათ სპეციფიკური რისკიანობის მახასიათებელი, რომელიც განსხვავდება კომპანიის სხვა დებიტორებისგან. აღნიშნული ფაქტისა და შესაბამისი ნაშთის არსებობის (საშუალოდ შეადგენს სავაჭრო მოთხოვნების 80%-ს) გათვალისწინებით, კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს გაუფასურებაზე მთავრობისგან მისაღებ თანხებს.

კომპანია არ აღიარებს საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში წარმოშობილ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, რადგან არ გააჩნია აღნიშნული მოთხოვნებიდან მისაღებ თანხებთან დაკავშირებული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნები

იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ სავაჭრო მოთხოვნებზე, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე. კომპანია ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც კომპანია ოპერირებს.

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე კომპანია არ აღიარებს გაუფასურების ზარალს ფასს 9-ის შესაბამისად.

საბანკო დაწესებულებაში განთავსებული დეპოზიტები

კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი საბანკო დაწესებულებაში განთავსებული დეპოზიტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, საბანკო დაწესებულებაში განთავსებული დეპოზიტებს მუხლზე კომპანია არ აღიარებს გაუფასურების ზარალს ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთ ჩათვლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

22.4 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საპროცენტო ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იგი კაპიტალიზდება განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში.

22.5 სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

22.6 საოპერაციო იჯარა

კომპანია როგორც მთავარი - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

22.7 ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

22.8 დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებული მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება სხვა ხარჯების მუხლში - „გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა“. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

22.9 მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემენის დანახარჯები მოიცავს მათი შემენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შემენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს მედიკამენტებს და სამედიცინო სახარჯ მასალებს. კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

22.10 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითად საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გაიანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20-50
ავეჯი და აღჭურვილობა	5-15
სამედიცინო დანადგარები და მოწყობილობები	3-20
სხვა	5-15
მიწა	არ ერიცხება ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

22.11 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგარამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

22.12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

22.13 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

22.14 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.



აკადემიკოს ფრიდონ თოდუას
საბუნების კლინიკური მედიცინის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

მმართველობის ანგარიშგება

შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

2018 წელი

შინაარსი

გენერალური დირექტორის წერილი	36
საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.....	37
მმართველობა.....	37
საქმიანობის შედეგები.....	37
განვითარების გეგმები.....	37
კომპანიის ფილიალების საქმიანობა	38
კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	38
ფინანსური მაჩვენებლები.....	38
არაფინანსური მაჩვენებლები.....	39
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	39
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	40
რისკები და შესაძლებლობები	40

გენერალური დირექტორის წერილი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს ჯანდაცვის ინდუსტრიამ მრავალი რეფორმა და ტრანსფორმაცია გაიარა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით ჯანდაცვის ხარჯებმა საქართველოში 2000-2014 წლებში ყველაზე სწრაფად მზარდი დინამიკა აჩვენა თავისი ჯგუფის ქვეყნებთან შედარებით.

უკანაკსნელ წლებში სახელმწიფო რეფორმებისა და კერძო სექტორის ჩართვის შედეგად ქვეყანაში მკვეთრად გაუმჯობესდა ჯანდაცვის სისტემა და ინფრასტრუქტურის სტანდარტებიც საკმაოდ გაიზარდა, რამაც თავის მხრივ ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისის მოთხოვნა გაზარდა. ერთ სულ მოსახლეზე ამბულატორიული მკურნალობა 2007 წლის მონაცემთან შედარებით (2.0) 2017 წელს მკვეთრად გაიზარდა 3.5. თუმცა მაინც დაბალი მაჩვენებელია ევრო კავშირის ქვეყნებთან შედარებით, სადაც იგივე მაჩვენებელი 6-ს შეადგენს.

აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დაარსდა 1991 წელს, საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი სამკურნალო-დიაგნოსტიკური დაწესებულებაა. ინსტიტუტი ერთ-ერთი ლიდერია რადიოლოგიის, ონკოლოგიის, ქირურგიის, ლაბორატორიული მედიცინის, ენდოსკოპიისა და ენდოქრინოლოგიის მთელ რიგ მიმართულებებში და აღჭურვილია ულტრათანამედროვე სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურით. მათ შორის:

- 6 მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფი: Magnetom Vida - პირველი 3T სიმძლავრის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი, რომელშიც ინტეგრირებულია Biomatrix-ს, Magnetom Verio – 3T, Magnetom Skyra – 3T, Magnetom Avanto – 1.5T, Magnetom Aera – 1.5T, Magnetom C – 0.35T
- 5 კომპიუტერული ტომოგრაფი: Somaton Edge Plus - 384 შრიანი ულტრა-თანამედროვე კომპიუტერული ტომოგრაფი საშუალებას იძლევა მივიღოთ მაღალი ხარისხის, მდიდარი, დეტალური გამოსახულება. ამასთან შეუძლია, 4D და რადიონობრივი კვლევების ინკორპორაცია რუტინული სერვისების პროცესში. Somaton Definition AS – 128 შრიანი ტომოგრაფი, Somaton Sensation – 64 და Somaton Definition Edge – 64-შრიანი ტომოგრაფები და Canon One Aquilion – 160 მმიაანი დინამიური კომპიუტერული ტომოგრაფი
- პოზიტრონ ემისიური ტომოგრაფი: GE Discovery IQ - მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე ხშირად გამოყენებული PET/CT და კლინიკისტიკების პირველი არჩევანი. აპარატს შეუძლია მაღალი ხარისხის გამოსახულების შექმნა მინიმალური რადიო-იზოტოპური დოზირების დროს.
- 2 ერთ-პროტონ ემისიური ტომოგრაფი: Spect/CT Symbia Intevo 6 – ეს ჰიბრიდული სისტემა ქმნის ახალ სტანდარტს რადიონუკლიდურ დიაგნოსტიკაში და იძლევა საშუალებას 1 აპარატში ერთდროულად ჩატარდეს სცინტიგრაფია და კომპიუტერული ტომოგრაფია და Spect Symbia Evo. ტომოგრაფების Automated Quality Control და Automated Collimator Changer სისტემები საშუალებას იძლევა პროცედურის ხანგრძლივობა შეამციროს 50%-ით.
- Varian Edge – Varian Edge სისტემა წარმოადგენს ევოლუციას თუ როგორ არის რადიოქირურგიული სერვისები მიწოდებული პაციენტისთვის. 2 Varian Truebeam - არის ულტრათანამედროვე სხივური ამაჩქარებელი, რომელიც ებრძვის სიმსივნურ წარმონაქმნებს მაღალი სისწრაფით და მაღალი სიზუსტით.
- EVIS Lucera Elite - ენდოსკოპიური აპარატი, რომელიც გასტრო-ინტესტინური კვლევების პროცესში იძლევა უჯრედის მორფოლოგიურად შესწავლის საშუალებას და მრავალი სხვა აპარატურა.

ინსტიტუტი ინარჩუნებს უცვლელ სტრატეგიულ კურსს, იყოს ორიენტირებული მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვაზე, რათა ნებისმიერი სახის სამედიცინო მომსახურების მიღება ხელმისაწვდომი გახდეს საქართველოში.

ინსტიტუტის მთავარი მიზანი მუდამ იქნება - დანერგოს უახლოესი ტექნოლოგიები დაავადებათა ადრეული იდენტიფიკაციისთვის და იზრუნოს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე, რაც ხელს შეუწყობს სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობას, პაციენტთა დროულ მკურნალობას და მათი სიცოცხლის გახანგრძლივებას.

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

მმართველობა

ინსტიტუტი იმართება დირექტორთა საბჭოს მიერ, რომელიც შედგება გენერალური დირექტორისა და შესაბამისი დარგების მენეჯერების მიერ. ორგანიზაციის მართვაში ასევე აქტიურად არის ჩართული 100%-იანი წილის მფლობელი.

კომპანიის მართვაში ბიუროკრატიის არ არსებობა იძლევა საშუალებას დირექტორების შეკრება მოხდეს უმოკლეს ვადაში და ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შეთანხმებული იყოს ყველა საჭირო ადრესატთან.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ორგანიზაციაში არსებული სამედიცინო ხარისხის კონტროლის სამსახურისა, რიგ შემთხვევებში ხარისხის კონტროლი ხდება უცხოელი აუდიტორების მიერ.

ინსტიტუტში დასაქმებულია 350-მდე თანამშრომელი, საიდანაც 80% არის მედ. პერსონალი, ხოლო 20% წარმოადგენს ადმინისტრაციას.

საქმიანობის შედეგები

2018 წელს კომპანიამ დიაგნოსტიკური მიმართულებებით შეიძინა არაერთი უახლესი თაობის ტექნიკა, მათ შორის აღსანიშნავია: 3T სიმძლავრის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფი Magnetom Vida, 384 შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფი - Somaton Edge და ენდოსკოპიური აპარატი - EVIS Lucera Elite. ასევე, დაიგეგმა კლინიკური ლაბორატორიის განახლება უახლესი ტექნიკით, რომელიც სრულად ავტომატიზირებულია და ფაქტიურად არ საჭიროებს დიაგნოსტიკის პროცესში ადამიანურ რესურსს. 2018 წელს ხელი მოეწერა კონტრაქტს სისხლის საერთო ანალიზატორის - XN-1500, შარდის საერთო ანალიზატორების - UF 4000, UC 3500, UD 10, ბიოქიმიური ანალიზატორისა - Cobas C 311 და კოაგულაციის აპარატების - Stago Compact Max შეძენაზე.

2018 წელს კლინიკაში გაიხსნა და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა პროქტოლოგიის განყოფილება. ასევე, გაზრდილი პაციენტთა რაოდენობის გამო ქიმიოთერაპიისა და ჰემატოლოგიის განყოფილებას დაემატა ახალი ბლოკი, სადაც პაციენტებს სერვისის მიღება ინდივიდუალურ გარემოშიც შეუძლიათ.

განვითარების გეგმები

ორგანიზაციის სტრატეგიული მიდგომა არის, რომ მოხდეს გაუნაწილებელი მოგების რეინვესტირება რაც უზრუნველყოფს კომპანიის გრძელვადიან განვითარებას. აღნიშნული ინსტიტუტს საშუალებას აძლევს: ერთის მხრივ, მუდმივად გაფარდოვდეს, გახსნას ახალი განყოფილებები/მიმართულებები და გააგრძელოს თანამედროვე ტექნოლოგიების შესყიდვა. ხოლო მეორეს მხრივ - მუდამ იზრუნოს მედ. პერსონალის პროფესიულ ზრდაზე. კომპანიის მიზანია თანამშრომლები მუდამ ინფორმირებულები იყვნენ მედიცინის უახლესი მიღწევების შესახებ და პრაქტიკულ დონეზე ფლობდნენ მათ. ამ პოლიტიკის ფარგლებში ინსტიტუტი მუდამ გამოყოფს სახსრებს თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რაც გამოიხატება არაერთი ტრენინგისა თუ კონფერენციის დაფინანსება/ჩატარებაში.

აღნიშნულის კარგი მაგალითია ინსტიტუტის სპონსორობით 2018 წელს ჩატარებული რადიოლოგთა კონგრესი. ინსტიტუტის მოწვევით საქართველოს ეწვია რიგი გამოჩენილი სპეციალისტი რადიოლოგთა დარგში, მათ შორის ამჟამინდელი ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი - ბორი ბრკლიაჩიჩი და ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი - ანდრას პალკო. კონგრესზე უცხოელ სპეციალისტებთან ერთად წარმოდგენილი იყვნენ ქართველი მომხსენებლებიც. აღნიშნული ღონისძიება ატარებდა დიდ სამეცნიერო-კვლევით მნიშვნელობას საქართველოში რადიოლოგიის დარგის განვითარებისთვის.

გარდა ამისა, ინსტიტუტმა დაასპონსორა და უმასპინძლა საქართველოს ენდოსკოპიკთა ასოციაციის ყოველწლიური კონფერენციას. კონფერენციაზე იკრიბება საქართველოს წამყვანი ენდოსკოპების სხვადასხვა რეგიონებიდან.

საშუალო ვადიან პერიოდში კომპანიას დაგეგმილი აქვს:

შპს „შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

- გახსნას ფილიალები (მიმდინარე მდგომარეობით კლინიკის რვავე კორპუსი განთავსებულია ერთ ლოკაციაზე)
- განავითაროს სამედიცინო ტურიზმი - შესთავაზოს მომსახურება რეგიონის მოქალაქეებს

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ ამბულატორიული კლინიკების სეგმენტის ზრდა გაგრძელდება, რაც განპირობებული იქნება შემდეგი ფაქტორებით:

- მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და ჯანდაცვის მზარდი ცნობადობა
- კერძო ინვესტიციების ზრდა ტექნოლოგიებსა და აღჭურვილობაში
- ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობის ზრდა
- ჰოსპიტალიზაციის ტემპების ზრდა
- სახელმწიფოს მხარდამჭერი ჯანდაცვის პოლიტიკა
- ჯანდაცვის დაზღვევის სარგებლიანობის შესახებ ცნობადობის გაზრდა
- ჯანდაცვის ხარჯების მყარი ზრდა
- ხელსაყრელი დემოგრაფიული სიტუაცია
- გრძელვადიან პერსპექტივაში სამედიცინო ტურიზმის ზრდა

2019 წელს ორგანიზაცია გეგმავს სრულად განაახლოს რადიონუკლიდური დიაგნოსტიკა და შეიძინოს სიმენსის უახლესი თაობის აპარატები: Symbia Intevo 6 და Symbia Evo, ხოლო ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განყოფილების გასამდიერებლად - Voluson Ge E10 BT19 და Cannon Aplio i900 i800, i700 ეხოსკოპები. აღნიშნული ინვესტიციით ინსტიტუტის ყველა განყოფილება უახლესი ტექნიკით იქნება აღჭურვილი.

კომპანიის ფილიალების საქმიანობა

კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში, თ. მღვდლის ქ.13, დისლოკაციის ერთ ადგილზე, ფილიალების გარეშე. საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილია კომპანიამ გახსნას ფილიალები და განავითაროს სამედიცინო ტურიზმი - შესთავაზოს მომსახურება რეგიონის მოქალაქეებს.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2018 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

ფინანსური მაჩვენებლები

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სტაბილურად მომგებიანი ორგანიზაციაა. 2018 წლის მდგომარეობით მთლიანმა საკუთარმა კაპიტალმა 85 მ. ლარი შეადგინა, რაც 17%-ით მეტია 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. ინსტიტუტის აქტივები გაიზარდა 14%-ით.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში

მომგებიანობა და უკუგება

	2018	2017
საოპერაციო მოგების მარჟა	34%	35%
წმინდა მოგების მარჟა	33%	33%
უკუგება კაპიტალზე	16.3%	17.7%
უკუგება აქტივებზე	15.4%	16.0%
EBITDA	48.2%	49.0%

შპს „შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ათას ლარში):

	2018	2017
სულ აქტივები	89,210	77,913
მთლიანი საოპერაციო შემოსავალი	39,164	35,934
წმინდა მოგება	12,885	11,858

კომპანიის საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა არის შემდეგი (ათას ლარში):

	2018	2017
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(13,294)	(12,657)
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,813)	(5,158)
შემძენილი მარაგების ხარჯი	(2,813)	(3,153)
სხვა ხარჯები	(4,021)	(2,506)

ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები:

საოპერაციო მოგების მარჟა = საოპერაციო მოგება / მთლიანი საოპერაციო შემოსავალი

წმინდა მოგების მარჟა = წმინდა მოგება / მთლიანი საოპერაციო შემოსავალი

უკუგება კაპიტალზე = წმინდა მოგება / საშუალო მთლიანი კაპიტალი

უკუგება აქტივებზე = წმინდა მოგება / საშუალო მთლიანი აქტივები

EBITDA=(წმინდა მოგება + საპროცენტო ხარჯი + მოგების გადასახადის ხარჯი + ცვეთა და ამორტიზაცია)/მთლიანი საოპერაციო შემოსავალი

არაფინანსური მაჩვენებლები

2018 წელს ჩატარებული სერვისების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა 2017 წლის იგივე მაჩვენებელს. ინსტიტუტის წამყვანი განყოფილებების შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

განყოფილება	2018	2017	ცვლილება
კლინიკური ლაბორატორია	104 448	93 160	12,1%
ულტრაბგერით დიაგნოსტიკა	24 066	23 104	4,2%
კლინიკური იმუნოლოგიის ლაბორატორია	20 502	17 162	19,5%
კომპიუტერული ტომოგრაფია	16 527	15 919	3,8%
მაგნიტო-რეზონანსული	14 350	13 050	10,0%
ნევროლოგია	11 205	11 193	0,1%
რენტგენოლოგია	10 516	10 503	0,1%
ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია	6 237	4 698	32,8%
ონკოლოგიის კონსულტაცია	5 341	5 092	4,9%
რადიონუკლიდური დიაგნოსტიკა	1 451	1 432	1,3%
რადიაციული ონკოლოგია - დაგეგმარებული პაციენტები	1 264	1 205	4,9%

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

რისკები და შესაძლებლობები

საოპერაციო რისკები

საქართველოში ჯანდაცვის სექტორის განვითარება ზრდის კონკურენციას და ერთის მხრივ, ქმნის შესაძლებლობას, რომ შემცირდეს ინსტიტუტში პაციენტების რაოდენობა, ხოლო მეორეს მხრივ, ართულებს კვალიფიციური სამედიცინო კადრების მოზიდვას.

თუმცა, ორგანიზაციაში 2018 წელს გაწეული სერვისების რაოდენობა უფრო მეტი იყო ვიდრე 2017 წელს. შესაბამისად, აღნიშნულ რისკს კომპანიის ხელმძღვანელობა არ აფასებს მნიშვნელოვნად. სამედიცინო პერსონალის გასამლიერებლად ინსტიტუტი 2019 წლიდან გეგმავს გამართოს ყოველწლიური დასაქმების ფორუმი, რაც საშუალებას მისცემს მოიზიდოს ახალგაზრდა კადრები და იზრუნოს მათ პროფესიულ განვითარებაზე.

ვინაიდან სამედიცინო საქმიანობა დაკავშირებულია მთელი რიგი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოებასთან, გაზრდილი ჩატარებული სერვისების რაოდენობა ზრდის პოტენციური რისკის მოხდენის ალბათობას. აღნიშნული რისკის შემცირებისთვის 2018 წელს გაძლიერდა შიდა ხარისხის მართვის სამსახური: ერთის მხრივ, გაიზარდა თანამშრომლების რაოდენობა, ხოლო მეორეს მხრივ, შეიქმნა რისკების რუკა, რითიც ხდება ყველა დოკუმენტის გავლა/შეფასება.

დამატებით, 2019 წლიდან ორგანიზაცია სამედიცინო დოკუმენტაციას აწარმოებს ელექტრონულადაც, პროცესების ავტომატიზაციამ შექმნა შესაძლებლობა ყოველი საფეხურის/დოკუმენტის ეფექტური მონიტორინგისა და კონტროლის, ხოლო პროგრამულად უფლებების დონეების განსაზღვრამ უზრუნველყო ყოველ ეტაპზე 4 თვალის პრინციპის დანერგვა.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კლინიკის მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ძირითადი ნაწილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოზე მოდის.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ასევე, კომპანია იყენებს საავანსო ანგარიშსწორების პოლიტიკას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (განმარტებითი შენიშვნა 4).

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (განმარტებითი შენიშვნა 4).

შპს „შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული რისკი არ არის არსებითი რადგან საპროცენტო განაკვეთის ცვლადი ნაწილი მიბმულია ლიბორზე (LIBOR), რომელიც წარსული პერიოდის ანალიზით არ ხასიათდება მნიშვნელოვანი რყევებით. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (განმარტებითი შენიშვნა 4).

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 6 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

გ. წივწივაძე

შპს „შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შ.პ.ს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

მმართველობის ანგარიშგება


საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული რისკი არ არის არსებითი რადგან საპროცენტო განაკვეთის ცვლადი ნაწილი მიბმულია ლიბორზე (LIBOR), რომელიც წარსული პერიოდის ანალიზით არ ხასიათდება მნიშვნელოვანი რყევებით. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (განმარტებითი შენიშვნა 4).

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 6 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი



გ. წივწივაძე

